<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

ამნისტიის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ათავისუფლებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირებს.

მუხლი 1

1. გათავისუფლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ან/და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (გარდა მოხელის მიერ, ასევე, სახელმწიფო საწარმოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების (რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებივ უფლებამოსილებას) მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, პირობითი მსჯავრისგან, სასჯელისგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისგან, პირი, რომელმაც 2023 წლის 1 სექტემბრამდე დანაშაულებრივი გზით მოიპოვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება.

2. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დანაშაულებრივი გზით მოპოვების შემთხვევებზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება თანაამსრულებლის და თანამონაწილის, აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც 2023 წლის 1 სექტემბრამდე ჩაიდინა ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა.

4. მსჯავრდებულისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულ(ებ)ის ჩადენისთვის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის აღსრულებულია, მას არ დაუბრუნდება.

მუხლი 2

პირი, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, ნასამართლობის არმქონედ ითვლება.

მუხლი 3

1. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება იმ პირზე, რომელიც 2024 წლის 1 სექტემბრამდე სრულად აანაზღაურებს დანაშაულის ჩადენის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზიანს.

2. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან, მათ შორის იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების გზით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის გზით.

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარჩენილ ნაწილზე ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან, მათ შორის იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების გზით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისებული ნაწილის ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის გზით.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის ღირებულება განისაზღვრება ექსპერტიზის დასკვნით, დანაშაულის ჩადენის დროისათვის არსებული მდგომარეობით.

5. ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადების ან მცდელობის 2023 წლის 1 სექტემბრამდე ჩადენის შემთხვევაში, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია პირის მიმართ გავრცელდება, თუ იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

6. თუ პირი მსჯავრდებულია ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაულის 2023 წლის 1 სექტემბრამდე ჩადენისათვის და მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მოხდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევა, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია პირის მიმართ გავრცელდება, თუ იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

მუხლი 4

1. პირმა, რომელზეც შესაძლებელია, გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან, მათ შორის იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების მიზნით, შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება შეუძლებელია, პირმა,

რომელზეც შესაძლებელია, გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანა უნდა განახორციელოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე.

3. პირმა, რომელზეც შესაძლებელია, გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება ან/და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარუდგინოს პროკურატურის შესაბამის დანაყოფს ან სასამართლოს და მოითხოვოს მის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელება.

4. გამოძიების სტადიაზე, თუ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ადევს ყადაღა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემდგომ, პროკურორი პირის, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების/შეწყვეტის და საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ.

5. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვის სტადიაზე, თუ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ადევს ყადაღა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემდგომ, სასამართლო პირის, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ.

მუხლი 5

პირს, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით.

მუხლი 6

1. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის, მათ შორის, ძებნილი ბრალდებულის, მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი პროკურორი.

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვის სტადიაზე ბრალდებულის, მათ შორის, ძებნილი ბრალდებულის, აგრეთვე მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სასამართლო.

3. თუ სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება დასრულებულია, მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს მის მიმართ თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

4. ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს:

ა) სააპელაციო სასამართლო, თუ ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით;

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლო, თუ ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

5. თუ ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილით ან მე-300 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა, მის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

6. ამ მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოთხოვნით:

ა) მსჯავრდებულის პირად საქმეს და, არსებობის შემთხვევაში, ჯარიმის აღსრულების თაობაზე ინფორმაციას უგზავნის შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება, თუ მსჯავრდებული სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში იხდის;

ბ) მსჯავრდებულის პირად საქმეს და, არსებობის შემთხვევაში, ჯარიმის აღსრულების თაობაზე ინფორმაციას უგზავნის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის

პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო, თუ მსჯავრდებულს არასაპატიმრო სასჯელი აქვს შეფარდებული ან იგი პრობაციის რეჟიმში იმყოფება;

გ) სააღსრულებო საქმის მასალებს უგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, თუ მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა და ის არ აღსრულებულა.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს წერილობით მიმართავს საქართველოს პროკურატურა.

9. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი 7

იმ პირს, რომელზეც გავრცელდა ამნისტია, უფლება აქვს, მის მიმართ ამ კანონის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთჯერადად, აღნიშნული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 2 კვირის ვადაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, საჩივრის წარდგენიდან 10 დღის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია, საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი 8

1. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდეს 2025 წლის 1 იანვრამდე.

2. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მის ნაწილის 2023 წლის 1 სექტემბრის შემდგომ გასხვისების შემთხვევაში, პირის მიმართ ამნისტია არ გავრცელდება.

მუხლი 9

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**